ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 31 მარტი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღეს არის საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი, რადგანაც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ასევე განაცხადა, რომ 31 მარტი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთი ლიდერის, ერის ნებისა და თავისუფლების უკვდავი სიმბოლოს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, რომელმაც უდიდესი ამაგი ჩადო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. ამასთან აღნიშნა, რომ 17 მარტს გარდაიცვალა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ლ. გვასალია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შევიდა ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების შესახებ. მათი განმარტებით გოგიტა ქარჩავა დაიბადა 1987 წელს, იგი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, სამშობლოს სიყვარულით და განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით. იყო წარჩინებული მოსწავლე, სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რაც დროსაც განხორციელდა რუსეთის მხრიდან საქართველოზე თავდასხმა 2008 წელს, გ. ქარჩავა ამ ომში გმირულად დაიღუპა. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. წარმოდგენილი წინადადება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, შესწავლილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის მიერ, აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობასთან ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების შესახებ. წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღების შემდეგ საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად საბოლოო გადაწყვეტილებისთვის გადაიგზავნება გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ქალაქ ხობში სპორტის ქუჩაზე მდებარე ყოფილი „გარაჟების“ ტერიტორიაზე 33 კვ.მ ფართის (ს/კ 45.21.25.025) იჯარის ფორმით აუქციონის წესით გადაცემაზე მერიაში შესულია დაინტერესებული პირის განცხადება. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ფართი არის დაუტვირთავი მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი სარგებლობის უფლებით იჯარის წესით, აუქციონის ფორმით გადაცემა ორი წლის ვადით, რაზედაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით), აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ამორტიზირებულია, კერძოდ „NISSAN XSTERRA" და „HYUNDAI". „NISSAN XSTERRA" შეფასებულია აუდიტის მიერ 7600 ლარად და პრივატიზებულ იქნება, როგორც სატრანსპორტო საშუალება, ხოლო „HYUNDAI"-ის მარკის სპეციალიზებული მანქანა პრივატიზებულ იქნება ჯართის სახით - 990 ლარის ღირებულებით, რაზედაც

წარმოდგენილია აუდიტორიული დასკვნები. საპრივატიზებო ნუსხაში მერიის მხრიდან ასევე შეტანილია ობიექტების რეაბილიტაციის შედეგად მიღებული მეორადი შერეული მეტალის მასალები ჯართის სახით, 16850 კგ-ის წონის ოდენობით და 7582 ლარის ღირებულებით. ზემო აღნიშნულის საფუძველზე მერიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ". წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით,

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა შეითანხმა მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები და ,,ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 29 დეკემბერის N26 დადგენილების საფუძველზე, წარმოდგენილ იქნა 2025 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისი ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნუსხა, რომელიც სრულად არის ამორტიზირებული და მათი ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, რაზედაც ასევე წარმოდგენილია აუდიტორული დასკვნები. ზემო აღნიშნულის საფუძველზე მერიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –26, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის 31 მარტის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გიორგი გვასალია
4. დოდო გაბუნია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მიმოზა ლემონჯავა
10. ივერი ბერიძე
11. მანუჩარ ქაძანაია
12. ნუგზარ შუშანია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. მზია ლემონჯარია
17. ირაკლი სახურია
18. ზაზა ალექსანდრია
19. დიტო ხასია
20. ირაკლი ალანია
21. გიგა კაპანაძე
22. გურამი ქირია
23. ლაშა ცატავა
24. კობა შონია
25. ალიოშა საჯაია
26. გიორგი გოგოხია